

ერთი მხრივ შპს „კატენა“ ს/კ 400140744 (შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის აბესალომ კირკიტაძის სახით, და მეორე მხრივ (შემდგომში წოდებული „მომხმარებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის „მიმწოდებელი“ და „მომხმარებელი“ ცალ-ცალკე წოდებულნი, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად „მხარეები“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. მომხმარებელი ავალებს, ხოლო მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას განახორციელოს სააბონენტო მომსახურება, ასევე „მომხმარებლისათვის“ SIP ტექნოლოგიის გამოყენებით ტელეფონის ნომრის ჩართვა და ძირითადი და გაფართოებული საკომუნიკაციო მომსახურება (შემდგომში „მომსახურება“).
- 1.2. მომხმარებელი ანაზღაურებს მიმწოდებლის მიერ სამუშაოს შესრულებას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოცულობით და წესით.
- 1.3. მომსახურების „მიმწოდებელი“ გადასცემს სააბონენტო ნომერს „მომხმარებელს“.
- 1.4. მომსახურების „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს სააბონენტო ნომრის პორტირება „მომხმარებლის“ მოთხოვნით.

2. კონფიდენციალურობა

- 2.1. „მხარეები“ აცხადებენ და გარანტიას იძლევიან, რომ სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში და მის შემდეგ, მიუხედავად იმისა, თუ რა გახდება ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი, მკაცრად დაიცავენ კონფიდენციალურობის ვალდებულებას ერთმანეთის მიმართ.
- 2.2. „მხარეების“ მიერ ერთმანეთისთვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია, დოკუმენტაცია, მომსახურების ფასი, ინფორმაცია ტარიფებზე და სხვა ცნობები, რომლებიც წარმოადგენენ კომერციულ ან სხვა სახის ფასეულობას, მიუხედავად მათი წერილობითი თუ ზეპირი ფორმისა, ითვლება კონფიდენციალურად (შემდგომში „კონფიდენციალური ინფორმაცია“) და „მხარეთა“ წინასწარი შეთანხმების გარეშე არ შეიძლება გადაეცეთ მესამე პირებს.
- 2.3. „მხარეებმა“ უნდა უზრუნველყონ, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება. კონფიდენციალურობის ვალდებულება მოქმედებს უვადოდ, მათ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემდგომაც.
- 2.4. კონფიდენციალურობის ვალდებულების საფუძველზე „მხარეები“ მოვალენი არიან არ გაავრცელონ და მესამე პირებს არ გაანდონ მათ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღებული „კონფიდენციალური ინფორმაცია“.
- 2.5. კონფიდენციალურობა ვრცელდება „მხარეთა“ დადებულ სახელშეკრულებო პირობების მიმართაც.
- 2.6. პასუხისმგებლობა: კონფიდენციალურობის დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევი „მხარე“ ვალდებულია მეორე „მხარეს“ გადაუხადოს 10 000 (ათი ათასი) ლარი. თუ დამდგარი ზიანი აღემატება აღნიშნულ ოდენობას, დაზარალებული მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი ანაზღაურება.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

- 3.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
 - 3.1.1. არ გასცეს „მომხმარებლის“ პერსონალური ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში - სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე;
 - 3.1.2. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული „მომსახურებისათვის“, საქართველოს ფარგლებს შიგნით განხორციელებული ზარების ფიქსირებული ტარიფი „მომხმარებელს“ მიაწოდოს დანართის სახით (დანართი N-1).

3.1.3. „მომხმარებლის“ ნომერზე შემომავალი ყოველი სრული ერთი წუთის (60 (სამოცი) წამი) სანაცვლოდ, „მომხმარებელს“ ანგარიშზე დაურიცხოს 0,01 ლარი (შემდგომში „ბონუსი“) შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - www.rs.ge ანგარიშ-ფაქტურის ატვირთვიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3.1.4. უზრუნველყოს მომსახურების უწყვეტი მიწოდება.

3.2. „მიწოდებელი“ უფლებამოსილია:

3.2.1. „მომხმარებლის“ მოთხოვნის შემთხვევაში, მიწოდებულ ანგარიშს თან დაურთოს ინფორმაცია საანგარიშო პერიოდის შესაბამისი „მომსახურების“ გაწევის დროს, დროის ხანგრძლივობის (წუთობრივად), შემომავალი და გამავალი ზარების ნომრის შესახებ. გამავალი და შემომავალი ზარების საანგარიშო პერიოდის ინფორმაცია არის უფასო;

3.2.2. წინამდებარე ხელშეკრულების 1-ლი მუხლით გათვალისწინებული „მომსახურების“ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში „მომხმარებელს“ შეუჩეროს მომსახურება, მისთვის წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე წერილობითი შეტყობინების ჩაბარებიდან 24 (ოცდაოთხი) საათის გასვლის შემდეგ.

3.2.3. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული „მომსახურების“ მიწოდება ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

3.3. „მომხმარებელი“ ვალდებულია:

3.3.1. უზრუნველყოს ინტერნეტთან წვდომა SIP ტექნოლოგიის გამოყენებისათვის;

3.3.2. წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.3. პუნქტით გათვალისწინებული „ბონუსის“ მისაღებად წარუდგინოს „მიმწოდებელს“ შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - www.rs.ge ატვირთული ანგარიშ-ფაქტურა.

3.4. „მომხმარებელი“ უფლებამოსილია:

3.4.1. მიიღოს ინფორმაცია ფიქსირებული ტარიფების თაობაზე.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორებით, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული „მომსახურებისა“ და 3.1.3 პუნქტით ბონუსის“ სახით გათვალისწინებული თანხებს „მხარეები“ ერთმანეთს ურიცხავენ შემდეგი წესით:

4.2.1. „მომხმარებელი“ წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული „მომსახურების“ თანხას გამოაკლებს 3.1.3 პუნქტით ბონუსის“ სახით გათვალისწინებულ თანხას და სხვაობას ჩაურიცხავს „მიმწოდებელს“

4.2.2. „მიმწოდებელი“ წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.3 პუნქტით ბონუსის“ სახით გათვალისწინებულ თანხას გამოაკლებს 1.1. პუნქტით გათვალისწინებული „მომსახურების“ თანხას და სხვაობას ჩაურიცხავს „მომხმარებელს“

4.3. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურს „მიმწოდებელი“ „მომხმარებელს“ ყოველთვიურად წარუდგენს შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - www.rs.ge ატვირთული ანგარიშ-ფაქტურის და შესრულებული სამუშაოების ატვის სახით, რომელიც „მომხმარებელმა“ უნდა გადაიხადოს 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - www.rs.ge ატვირთული ანგარიშ-ფაქტურის და შესრულებული სამუშაოების მიღების მომენტიდან.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.2. პუნქტით დადგენილი გადახდის ვადების დარღვევის შემთხვევაში „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია დაარიცხოს „მომხმარებელს“ პირგასამტეხლოს გადახდა ვადაგადაცილებული/გადაუხდელი თანხის 0,01 %-ის (ნული მთელი ერთი მეასედი) ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, რის თაობაზეც აცნობებს „მომხმარებელს“ წერილობით.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.3 პუნქტით დადგენილი გადახდის ვადების დარღვევის შემთხვევაში „მომხმარებელი“ უფლებამოსილია დაარიცხოს „მიმწოდებელს“ პირგასამტეხლოს გადახდა ვადაგადაცილებული/გადაუხდელი თანხის 0,01 %-ის (ნული მთელი ერთი მეასედი) ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, რის თაობაზეც აცნობებს „მიმწოდებელს“ წერილობით.

5.3. „მხარის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელი „მხარე“ ვალდებულია მეორე „მხარეს“ აუნაზღაუროს ზიანი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.4. „მომხმარებელი“ პასუხისმგებელია ყველა იმ ზარზე რაც განხორციელებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სააბონენტო ნომრიდან, აგრეთვე პასუხისმგებელია SIP ნომრის ძირითად პარამეტრებზე (სახელი და უნიკალური პაროლი).

6. ფორს-მაჟორი

6.1. „მხარეები“ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში (შემდგომში „ფორს-მაჟორი“), რომლის დროსაც შეუძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

6.2. იმ შემთხვევაში თუ ფორსმაჟორული მდგომარეობა გაგრძელდება 2 (ორი) თვეს მხარეები უფლებამოსილი არიან შეწყვიტონ ხელშეკრულება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2000 წლის ____ და მოქმედებს 2000 წლის ____ ჩათვლით.

7.2. ხელშეკრულება ავტომატურად გრძელდება იგივე ვადით და პირობებით, თუ ვადის გასვლამდე 10 (ათი) დღით ადრე ერთ-ერთი „მხარე“ არ განაცხადებს წერილობით უარს მის გაგრძელებაზე.

7.3. ხელშეკრულების ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ:

7.3.1. ანგარიშსწორებასთან ან/და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მოქმედებს „მხარეთა“ მიერ ვალდებულებების სრულ და ჯეროვნად შესრულებამდე;

7.3.2. კონფიდენციალურობის ვალდებულება ძალაშია ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

8.1.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულების შემდეგ;

8.1.2. „მხარეთა“ შეთანხმებით;

8.1.3. „მხარის“ მიერ ანგარიშსწორების პირობების ან/და ვადების დარღვევის შემთხვევაში;

8.1.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

8.1.5. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით ცალმხრივად, თუ მეორე მხარე უხეშად დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს წარედგინება წერილობითი პრეტენზია ხელშეკრულების პირობების დარღვევასთან დაკავშირებით.

8.1.6. თუ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის/ლიკვიდაციის პროცესი.

9. კომუნიკაცია მხარეთა შორის

9.1. „მხარეთა“ შორის ოფიციალური ურთიერთობა შეიძლება ატარებდეს როგორც ზეპირ, ასევე წერილობით ფორმას.

9.1. „მხარეს“ წერილობითი ფორმა შეიძლება მიეწოდოს პირადად ან კურიერის (დაზღვეული წერილის) საშუალებით.

9.2. „მხარეებს“ შორის კომუნიკაცია წარმოებს მხარეთა რეკვიზიტებში მითითებულ მისამართზე.

10. დავათა გადაწყვეტა

10.1. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით.

10.2. საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავის განხილვა და გადაწყვეტა მოხდება ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

11. დასკვნითი დებულებები

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება:

- 11.1.1. შესრულებულია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ავტენტურ ეგზემპლარად, თითოეული „მხარისთვის“ განკუთვნილია თითო ეგზემპლარად.
- 11.2. დაუშვებელია „მხარის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მესამე პირისთვის გადაცემა მეორე „მხარის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 11.3. ის რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
- 11.4. ხელშეკრულების ყოველი ცვლილება და დამატება უნდა განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით.
- 11.5. ყოველი ცვლილება და დამატება, დანართი არის და იქნება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.
- 11.6. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის შეცვლა, გაუქმება ან შეწყვეტა არ იქონიებს გავლენას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა დებულებებზე.
- 11.7. „მხარემ“ მისამართის/ ტელეფონის ნომრის ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე „მხარეს“ წინააღმდეგ შემთხვევაში „მხარის“ მიერ მითითებულ მისამართზე კომუნიკაცია/ შეტყობინება ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.

12. მხარეთა რეკვიზიტები

მიმწოდებელი:

მომხმარებელი:

შპს „კატენა“ს/კ 400140744

იურ მის.: ქ. თბილისი, მუხიანის II მ/რ, კორპუსი N19 ა

სს „თიბისი ბანკი“

ბანკის კოდი TBCBGE22

ა/ა GE94TB 73 2693 6080 1000 02

დირექტორი:

დირექტორი

აბსალომ კირკიტაძე / _____/

/ _____/

**2000 წლის _____ სააბონენტო ხელშეკრულების
დანართი N1**

ერთი მხრივ შპს „კატენა“ ს/კ 400140744 (შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის აბესალომ კირკიტაძის სახით, და

მეორე მხრივ შპს შემდგომში წოდებული „მომხმარებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის სახით, შევათანხმეთ წინამდებარე დანართი შემდეგზე:

საქართველოს ფარგლებს შიგნით განხორციელებული ზარების ფიქსირებული ტარიფი

მობილური ქსელი	
მაგთი	0.11 ლარი/წთ
ბილაინი	0.11 ლარი/წთ
ჯეოსელი/სილქნეტი	0.11 ლარი/წთ
ფიქსირებული ქსელი:	
თბილისი	0.04 ლარი/წთ
რეგიონი	0.06 ლარი/წთ

სააბონენტო:	
112-ის საფასური	1 ნომერი 0.50 თეთრი
სააბონენტო ნომერზე	1 ნომერი 1 ლარი
ვოიპ არხი:	1 (ერთი) არხი -10 ლარი

სააბონენტო ნომერების რაოდენობა და მათი ჩამონათვალი:

მიმწოდებელი:

მომხმარებელი:

შპს „კატენა“ ს/კ 400140744
 იურ მის.: ქ. თბილისი, მუხიანის II მ/რ, კორპუსი N19 ა
 სს „თიბისი ბანკი“
 ბანკის კოდი TBCBGE22
 ა/ა GE 94 TB7 32693 6080 1000 02

დირექტორი:

დირექტორი:

აბესალომ კირკიტაძე /_____/

/_____/